



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 17

2017 წ. "21" 09

ქ.თბილისი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული
პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით
დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე
მუხლის მე-5 პუნქტისა და 30¹-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას
(საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით
განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ამწის ოპერატორი	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში	45	20	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
2	ამწის ოპერატორი	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული	31	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53

			კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში			
3	შემდუღებელი	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში	37	27	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
4	შემდუღებელი	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში	42	27	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
5	პორტების ლოგისტიკის ოპერირება	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში	42	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
6	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში	9	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
7	თევზსაჭერი გემის ნავიგატორი	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში	88	36	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თამარ ზარანდია



მდივანი
თუთა ნარმანია

